პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 23 დეკემბერი, 1989 წელი ● № 52 (2877) ● СУББОТА, 23 ДЕКАБРЯ 1989 г.

## სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე

**სსრ** კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე მიმდინარე კვირაში განხილვის მთავარი თემა იყო მთავრობის მოხსენება „ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებების ეკონომიკური რეფორმის ეტაპებისა და მეცამეტე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისადმი პრინციპული მიდგომის შესახებ“.

მთავრობის პროგრამის განხილვისას სახალხო დეპუტატთა დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ ღონისძიებებს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის. მრავალ დეპუტატს შემოჰქონდა წინადადებანი, დააჩქაროს სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ იმ ძირითადი საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც სამართლებრივ საფუძველს უქმნის სამეურნეო რეფორმის პრინციპებით ეკონომიკის ფუნქციონირებას. საბოლოოდ, მიუხედავად მრავალი მოწინააღმდეგისა, ხმების უმრავლესობით დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს მთავრობის პროგრამას.

დეპუტატებმა დაიწყეს სსრ კავშირის კონსტიტუციაში საარჩევნო სისტემის საკითხებზე ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის განხილვა, რომელიც მიღებულ იქნა. დეპუტატები განაგრძობდნენ ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის განხილვას, რომელიც ყრილობამ ხმების უმრავლესობით საფუძვლად მიიღო. შემდეგ კენჭისყრა მიმდინარეობდა დოკუმენტის ცალკეული მუხლებისა და კარების მიხედვით.

ყრილობა შეუდგა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა სტატუსისა და დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტების პროექტების შესახებ მოხსენების განხილვას.

ყრილობაზე კვირის მანძილზე განიხილავდნენ სხვა საკითხებსაც. ერთ-ერთ სხდომაზე კვლავ დაისვა საკითხი დეპუტატთა პასუხისმგებლობის, ზოგიერთი მათგანის ქცევის ნორმის შესახებაც კი. ამიტომ პრეზიდიუმი კვლავ იღებს იმ წერილების მსგავს ბარათებს, რომლებიც წაიკითხა ერთ-ერთი სხდომის თავმჯდომარემ: „იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი დეპუტატი კვლავ ხმას აძლევს ბარათებით საკუთარი თავის და იმ დეპუტატების მაგივრადაც, ვინც დარბაზში არ იმყოფება, ვთხოვთ შეახსენოთ მათ, რომ ეს უაღრესად უხეში დარღვევაა და შედეგებს ამახინჯებს“... აი კიდევ ერთი წერილი, ამჯერად უკვე დოკუმენტი — ყრილობის სამდივნოს განცხადება: „სახალხო დეპუტატთა შორის ვრცელდება უამრავი მასალა, რომლებიც არ არის წარმოდგენილი ყრილობის სამდივნოში — სხვადასხვა მიმართვა, განცხადება, ცნობა, მათ შორის ანონიმურებიც“...

გადაწყდა, რომ ყრილობის მუშაობა გაგრძელდეს 24 დეკემბრამდე.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ზ. წერეთელი და ს. ცინცაძე ყრილობის დარბაზში.

## УКАЗ

### Президиума Верховного Совета СССР

За мужество и самоотверженные действия, проявленные при исполнении служебного долга, наградить

ОРДЕНОМ КРАСНОЙ ЗВЕЗДЫ

МАРГИШВИЛИ АВТАНДИЛА ВАСИЛЬЕВИЧА — капитана милиции (посмертно);
ХВИСТАНИ ФИЛАРЕТА ИЛОЕВИЧА — капитана милиции (посмертно).

Москва. Кремль.
15 декабря 1989 г.

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР
М. С. ГОРБАЧЕВ.



ოპერატიულად და მაღალი ოსტატობით ასრულებენ თავის მოვალეობას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კავშირგაბმულობისა და სპეცტექნიკის სარემონტო სახელოსნოს თანამშრომლები.

ჩვენი ფოტოკორესპონდენტის გ. გიაშვილის ამ ფოტოზე აღბეჭდილი არიან პირველი კლასის ოსტატი ა. პოლიაკოვი და მემონტაჟე ვ. ხიდაში.

## УСТРАНИТЬ ИМЕЮЩИЕСЯ НЕДОСТАТКИ

**Сложные условия, в которых приходится работать в нынешнем году сотрудникам милиции, многократно повысили роль политработников, коммунистов в создании нормального морально-психологического климата в подразделениях. На первый план выдвинулось их умение вести целенаправленную разъяснительную работу, сплотить коллектив, мобилизовать его на решение стоящих задач. О том, как решаются эти вопросы в Октябрьском РОВД столицы республики рассказывает сегодня заместитель начальника отдела по политической части майор милиции Т. САБАНАДЗЕ.**

— **КАК НИКОГДА** напряженным выдался нынешний год для коллектива нашего отдела, сотрудникам которого помимо дел на непосредственно закрепленных за ними участках работы, приходилось неоднократно участвовать в мероприятиях по обеспечению правопорядка в столице и различных регионах республики.

Тем не менее результативность работы неплохая, в частности, улучшилась раскрываемость по ряду видов преступлений.

Достигнутое стало результатом постоянных усилий руководящих работников, членов первичной партийной организации отдела в деле укрепления дисциплины, требовательности, повышения ответственности сотрудников за порученное дело, уровня их профессиональной подготовки, активности в деле перестройки стиля и методов работы ОВД.

Состояние дисциплины и соцзаконности регулярно рассматривается на оперативных совещаниях отдела, принимаются меры по искоренению негативных явлений, в результате чего в последнее время в отделе сохраняется стабильное морально-политическое состояние и оперативное положение. Следует отметить, что за три последних года в отделе не было ни одного ЧП, за весь истекший с начала года период в РОВД не произошло ни одного случая нарушения соцзаконности.

Учитывая большую значимость расширения гласности в деятельности ОВД, укрепления связей с общественностью, в отделе планомерно осуществляются мероприятия, направленные на укрепление контактов с населением, регулярно организуются встречи работников милиции с трудовыми коллективами расположенных на территории района предприятий и организаций, школ и специальных учебных заведений, в ходе которых ведется разъяснительная работа, происходит заинтересованный обмен мнениями по волнующим граждан вопросам законодательства и охраны правопорядка.

Должное внимание уделяется рассмотрению поступающих от населения писем с жалобами и заявлениями. Большинство из тех, кто касаются деятельности РОВД, выполняется качественно и в срок, остальные своевременно направляются в соответствующие инстанции для реагирования.

Укрепление контактов с населением позволяет нам не только лучше ориентироваться в обстановке, но и выявлять слабые стороны и недостатки в нашей работе. Так, изучение общественного мнения, осуществленное в результате проведенного анкетирования, позволило установить, что у граждан имеются серьезные претензии к работе служб УР (21 процент опрошенных), БХСС (41 про-

(Окончание на 2-ой стр.).

# УСТРАНИТЬ ИМЕЮЩИЕСЯ НЕДОСТАТКИ

(ОКОНЧАНИЕ)

цент), ГАИ (38 процентов), участковых инспекторов (20 процентов). Немало жалоб касалось грубости и нетактичности сотрудников, непринятия мер к провинившимся. Подавляющее большинство опрошенных считают, что необходимо улучшить подбор кадров и профессиональную подготовку сотрудников ОВД.

Следует отметить, что многие из приведенных мнений разделяют и сами сотрудники отдела. Это говорит о необходимости более внимательного отношения к сотрудникам, их нуждам и проблемам, устранения факторов, мешающих нормальной работе, имеющихся недостатков. А их у нас еще немало. В первую очередь это относится к работе первичной партийной организации отдела (секретарь партбюро майор милиции М. Лобжанидзе), которая в последнее время недостаточно внимания уделяет решению вопросов укрепления дисциплины и соцзаконности, не заслушивает отчеты руководящих работников о проделанной в этом направлении работе. А здесь не все обстоит благополучно.

Многие руководители имеют серьезные недостатки в идейно-воспитательной работе с сотрудниками, не изучают в должной мере их моральные качества, не интересуются служебными и личными проблемами. В случаях проступков ограничиваются порой голым администрированием, без всякого психологического и нравственного воздействия, чем, конечно, не достигают желаемой цели. В результате если в 1988 году в административном порядке было наказано за различные нарушения семь сотрудников, то за 10 месяцев нынешнего года уже 17, в том числе три коммуниста. Причем, ни один не был предварительно обсужден в партийном порядке или на товарищеском суде офицерской чести.

Примечателен случай с дознавателем М. Булугашвили. В результате его халатного отношения к делу не были приняты решения по полученным ранее материалам. В поступившем недавно из прокуратуры района представлении отмечается, что им допускаются в процессе расследования грубые нарушения процессуальных норм, проявляется неоперативность, задерживаются расследования по уголовным делам, решения не принимаются в установленные законом сроки.

Данный вопрос изучала комиссия РОВД, и по итогам ее работы Булугашвили было объявлено неполное служебное соответствие. Здесь, конечно, следует учесть, что, он молодой сотрудник, которому необходима была помощь со стороны куратора или наставника, а ее отсутствие поставило М. Булугашвили на грань нарушения соцзаконности, что может повлечь его увольнение из ОВД.

Все это свидетельствует, что в отделе все еще не организована на должном уровне воспитательная работа, не сформирована четкая система контроля за деятельностью сотрудников. Понимая всю важность решения приведенных выше вопросов, скорейшего искоренения имеющихся недостатков, основные наши усилия направлены сейчас на обеспечение качественного улучшения идейно-воспитательной работы с личным составом руководящих работников, общественных организаций РОВД, повышение боевитости парторганизации, укрепление исполнительской дисциплины, что в конечном итоге должно способствовать повышению эффективности работы всего коллектива отдела.

# რეიდმა გამოავლინა

ახლახან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილებისა და კადრების სამმართველოს პირადი შემადგენლობის ინსპექციის ერთობლივმა რეიდმა თანამშრომელთა მხრიდან გამოავლინა არაერთი დარღვევა.

...რუსთავის შს საქალაქო განყოფილების ქვეგანყოფილების სამორიგეო ნაწილის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ განყოფილებაში წარმოდგენილთა აღნუსხვის ჟურნალში არ აღინიშნება წარმოდგენილ პირთა განთავისუფლების დრო. ამასთან ერთად ბევრ შემთხვევაში არ არის ჩანაწერები სამორიგეო ნაწილში წარმოდგენის მიზეზებზე და მიღებულ ზომებზე. ამის გარდა სამორიგეო ნაწილის სეიფში აღმოჩნდა მოქალაქის საბუთები, რომლებიც დროულად არ გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

გარდაბნის შს რაიგანყოფილების თელეთის ქვეგანყოფილების სამორიგეო ნაწილის დანაშაულობათა და შემთხვევების შეტყობინების სარეგისტრაციო წიგნში რიგ შემთხვევებში შეაქვთ ინფორმაცია ნაკლებად მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, ხოლო დანაშაულობათა რეგისტრაციის დროს ზოგჯერ არ არის მითითებული ინფორმაცია მათზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე და მასალების დანიშნულებისამებრ გაგზავნის შესახებ.

ბოლნისის ავტოინსპექციის საგუშაგო „მულანლოსთან" რეიდის მონაწილენი ასეთ სურათს შეესწრნენ:

საგზაო-საპატრულო სამსახურის თანამშრომლების, მილიციის სერჟანტის რ. გვარჯილაშვილის და რიგითი მილიციელის ნ. სიმონიშვილის წაყრუებით ამ საგუშაგოზე მორიგეობდა მოქ. ა. შახბაზოვი, რომელსაც არ აღმოაჩნდა არც შტატგარეშე და არც საზოგადოებრივი ავტოინსპექტორის მოწმობა, საკუთარ ავტომანქანაზე კი დაყენებული ჰქონდა სპეციალური დანიშნულების მოციმციმე მაშუქი, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. იმავე დღეს მილიციის სერჟანტმა გ. გაბიბოშვილმა საკუთარი ავტომანქანა გადასცა სამართავად მოქ. გ. გევორქიანს, რომელსაც არ ჰქონდა მართვის მოწმობა. ამავე საგუშაგოს შენობაში აღმოჩნდა სამი ბოთლი ღვინო.

**რედაქციისაგან:** ზემოთ მოყვანილ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ მშრალი ფაქტები, რადგან რეიდის მომწყობთ „დაავიწყდათ" გაზეთის წარმომადგენლის მოწვევა. არადა ჟურნალისტი პირადად თუ არ დაესწრო ამა თუ იმ მოვლენას, არ შეისწავლა იგი, მაშინ ვერც შესაფერის შეფასებას მისცემს მას. იმედია მომავალში ჩვენს „შენიშვნას" გაითვალისწინებენ მსგავსი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებისას. როგორც გავიგეთ აღნიშნული ფაქტები ზომების მისაღებად გაეგზავნა შესაბამის ხელმძღვანელობას. ვფიქრობთ რედაქციასაც გამოუგზავნიან შეტყობინებას იმის შესახებ, თუ როგორი რეაგირება მოჰყვა ამ ფაქტებს ადგილებზე.

# მძიმეა მათი ხვედრი, მძიმე

ყოველ დროს თავისი პრობლემა და სატკივარი ახლავს, თორემ საუკუნეების წინ ვინ იფიქრებდა, რომ ოდესმე ქალთა კოლონია გვექნებოდა. ალბათ არაფერია იმაზე მძიმე, როცა ქალი დასცილდება მის უშუალო მოვალეობას — ოჯახს, დედობას და მოხვდება იმ სამყაროში, სადაც მართლაც სხვა ცხოვრებაა, სხვა გარემოცვაა.

დღეს რესპუბლიკის ქალთა საერთო შრომა-გასწორების კოლონიაში არიან სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომელთაც ჩაიდინეს სხვადასხვა ხასიათის დანაშაულობები. სანამ უშუალოდ პატიმართა ცხოვრების მომენტებზე გადავიდოდე, მინდა ორიოდე სიტყვით იმ პრობლემებზე მოგითხროთ, რომელიც ჯერჯერობით დგას კოლონიის ხელმძღვანელობის წინაშე.

ჯერ ერთი, შენობები, სადაც კოლონიური ცხოვრება მიმდინარეობს მოძველებულია და ავარიულ მდგომარეობაშია. პატიმრები ბარაკულ პირობებში ცხოვრობენ, მეორეც, რაც ყველაზე უმთავრეს პრობლემად მიაჩნია კოლონიის ხელმძღვანელობას — ესაა რევოლუციის დროინდელი კანონების მოქმედება. ალბათ არ არის სადაო ის ფაქტი, რომ 70 წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა ცხოვრება, შეიცვალნენ თვით ადამიანებიც და მოძველებული კანონებით ხელმძღვანელობა დღეს უდაოდ არ გამოგვადგება. ამიტომ დროა იფიქრონ ახალი წინადადებების ფორმირებაზე მათ, ვის უშუალო კომპეტენციაშიც შედის ეს საკითხი. დღესდღეობით ქალთა კოლონიაში ყველა კატეგორიის პატიმრები ერთად არიან, რადგან კანონი არ იძლევა მათი დაყოფის უფლებას. არადა რეალურად თუ შევხედავთ არსებულ სიტუაციას, არიან ისეთებიც, რომელთა სწორ გზაზე დაყენება უფრო იოლია, განსაკუთრებით ვინც პირველად ხვდება აქ, მაგრამ რას იზამ, როცა თავს ზევით ძალა აღარაა. ძირითადი შრომითი საქმიანობა, რასაც მსჯავრდადებულები ეწევიან სამკერვალო პროცესია. სხვათაშორის სწორედ ქალთა კოლონიაში იწარმოება რესპუბლიკის სპეცტანსაცმელის 60-70 პროცენტი. შრომის პროცესი ჩვეულებრივისაგან არაფრით განსხვავდება (მუშაობენ რვა საათს, არის ერთსაათიანი შესვენება) მხოლოდ ანაზღაურების პრინციპია განსხვავებული. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, ვინც აქ არის ყველას გულისყური თავისუფლებისკენაა მიპყრობილი, ენატრებათ შვილები, დედ-მამა, ახლობლები. ბევრი მწვავედ განიცდის თავის ხვედრს, შეგნებული აქვთ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. მაგრამ მოდით ნურც იმაზე ვიდავებთ, რომ რომელიმე მშობელს სურდეს მისი შვილი დამნაშავე იყოს, ან ამ კედლების შიგნით იწყებოდეს 18-19 წლის გოგონების და გნებავთ 40 წლის ქალების ცხოვრების სამყარო. ხშირად მოვლენებს სიტუაციები ქმნის და ამიტომ ჩემის აზრით თითოეული მსჯავრდასადების მიმართ ეს მომენტი უნდა იყოს გათვალისწინებული.

ადრე კოლონიაში ბავშვთა სახლიც ჰქონიათ, მაგრამ შენობის უვარგისობის გამო ის დახურულა. დღეს დედები შვილებს მხოლოდ სპეციალურად დანიშნული შეხვედრის დროს თუ ხვდებიან, ისიც ოთხ თვეში და ექვს თვეში ერთხელ. თანაც ორ შვილზე მეტის ნახვის უფლება კანონით აკრძალულია, მაშ რა ქნან 4 და 5 შვილის დედებმა? ან იქნებ რახან ისინი პატიმრები არიან, მათ შვილებიც აღარ ჰირდებათ? აი, აქ არის სწორედ ბევრი ჩვენგანის შეცდომა და უგუნურება. ბავშვი ყოველთვის უცოდველია და არცერთმა შვილმა მშობლის დანაშაულისთვის არ უნდა ზღოს არანაირად. ალბათ ეს პრობლემაც ძალიან მალე უნდა გადავჭრათ.

— ჩემი შვილი რომ მოვიდა, ასე მითხრა: დედა, დღეს მასწავლებელმა ბავშვებს უთხრა, გიორგი რომ კარგად სწავლობს რისი მაქნისია, დედა ციხეში ყავსო, — ჩემთვის ამაზე დიდი ტრაგედია არ არსებობს, — მითხრა 42 წლის მსჯავრდადებულმა და მთელი მისი ხვედრი ნიაღვრად მომსკდარ ცრემლებში ჩააქსოვა.

ქალთა საერთო შრომა-გასწორების კოლონიის უფროსის მოადგილემ მ. გელბახიანმა გულახდილად მომიყვა მსჯავრდადებულთა ცხოვრების შესახებ. მითხრა ისიც, რომ კოლონიაში მოქმედებს საშუალო სკოლის საღამოს განყოფილება, პროფ-სასწავლებელი, რომელიც ყოველწლიურად 175 კურსდამთავრებულს უშვებს, ჩამოყალიბებულია თვითმოქმედი საბჭოები, კარგადაა გადაჭრილი თავისუფალი დროის პრობლემა. არის სისტემატიური კონტაქტები პატიმრებთან. საუბრები მათთვის საინტერესო თემაზე, როგორც ქალბატონმა მზიამ აღნიშნა — ნებისმიერ მსჯავრდადებულს ადამიანურობის პოზიციიდან უნდა მიუდგე. თუ მან შენში ვერ იპოვა შინაგანი სითბო და ყურადღება მაშინ ყველანაირი გაწეული შრომა ფუჭად დაკარგულია. ალბათ ეს არის იმის წინაპირობა, რომ კოლონიაში დღემდე არ წამოჭრილა ნაციონალური საკითხი, ეროვნული შუღლი, აქ ხომ ყველა ერის წარმომადგენლებს შეხვდებით, და მაინც, ქალბატონი მზიასგან მონაყოლის ჭეშმარიტებაში მათთან საუბარმაც დამარწმუნა. მათი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. გოგონებმა განსაკუთრებით აღნიშნეს — კარგი კვება გვაქვსო. მაგრამ ჩემო მკითხველო, პატიმარი ხომ მაინც პატიმარია. მათ თავიანთი სატკივარი აქვთ, რომელსაც ვერაფერი წაშლის მეხსიერებიდან.

რა დაავიწყებს ელზას, მარინას, მაიას, ნათიას აქ გატარებულ წლებს. ისინი ღიმილით ხვდებიან ჩემს ყოველ შეკითხვას, მაგრამ რამდენი დარდია ამ ღიმილში ჩაქსოვილი. ბევრს რწმენაც დაკარგვია, არა სჯერა ხვალინდელი დღის, არადა ძნელია აქედან გამოსულმა ადამიანმა იცხოვროს რწმენის გარეშე. ძნელია ქალისთვის არსებობდეს სხვა სამყარო გარდა ოჯახისა, შვილებისა და მას ერქვას კოლონია. დღეს ბევრს ვსაუბრობთ კანონის ჰუმანიზაციაზე, იქნებ ეს ჰუმანურობა ცოტათი მეტად ქალების მიმართ გამოვეჩინა, ისე არ მინდა გამოგვივიდეს, თითქოს ჩვენ დამნაშავის დასჯას არ მოვითხოვდეთ, მაგრამ ალბათ არ იქნება ურიგო თუ იარსებებს მეტნაკლები ზღვარი ქალის მიერ ჩადენილ დანაშაულში (კატეგორიის მიხედვით), განა 15 წლის პატიმრობის მერე ქალი შეიძლება ჯანსაღი დაუბრუნდეს მის ოჯახს, შვილებს და გნებავთ საზოგადოებას? — მძიმეა მათი ხვედრი, მძიმე.

მძიმეა ამ კედლებს მიღმა მყოფ შენს შვილს პატრონი არ ჰყავდეს და იძულებული იყო ჩააბარო ის უპატრონოთა სახლს, პატარას უჭირდეს, დედა ენატრებოდეს და ამ ნატვრას ვერ ისრულებდეს, მაგრამ ალბათ ისიც არა ნაკლებ მძიმეა, ხელყო ვინმეს სიცოცხლე, ქონება, უფლება, პატიოსნება და ადამიანობა.

მ. მოსიძე.

* * *

**სურათზე:** ერთ-ერთ საამქროში; მსჯავრდადებულები შრომის პროცესში; მსჯავრდადებულები საუბრობენ დაწესებულების თანამშრომელთან.

გ. ბურამიშვილის ფოტო.







# Советская милиция

ВЫШЕЛ в свет очередной, одиннадцатый в нынешнем году номер журнала «Советская милиция», который открывается материалом «Когда произошла трагедия» с подзаголовком «Не каждый сумел выполнить свой служебный и гражданский долг. Почему?», посвященным трагическим событиям, имевшим место в Абхазии в июле нынешнего года.

Под рубрикой «Текущий момент» в номере опубликована статья министра внутренних дел СССР генерал-лейтенанта В. Бакатина «Об аппарате», в которой анализируются актуальные проблемы работы руководящих органов, главков и управлений системы МВД СССР. В материале под заголовком «Сыграем в «наперстки«?» анализируются методы борьбы с получающими в последнее время все большее распространение азартными играми.

Под рубрикой «Пьянству — бой» опубликован материал «Вдвойне опасен», подготовленный по результатам совместного рейда журналов «Трезвость и культура» и «Советская милиция» на Юго - Восточной железной дороге.

Несомненный интерес для читателей представляют заметки о пребывании в ГДР писателя А. Кулешова «В гостях у дорожной полиции», фоторепортаж о буднях конного подразделения МВД — Московского милицейского кавалерийского батальона, очерк «Последнее дежурство» о погибшем при исполнении служебных обязанностей летом 1961 года постовом 37-го отделения милиции г. Москвы М. Федосеенко, исторические очерки «Сыщик» — о мужественном оперативнике, рядовом уголовного розыска Киргизии в 20-х годах Георгие Улискове и «Ни минуты не сомневаясь...» — о репрессированном в 1937 году большевике В. Н. Толмачове, возглавлявшем с 1928 года Наркомат внутренних дел РСФСР, статья «В духе плюрализма?» — о негативных тенденциях в работе печатных органов некоторых неформальных объединений, подборка читательских писем, другие публикуемые в номере материалы.

# აფხაზეთი: ნაბიჯი შერიგებისაკენ

**„სოფლის ცხოვრების" კორესპონდენტის კითხვებს უპასუხებს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გივი ლომინაძე**

**— ამბობენ, აფხაზეთში მოჩვენებითი სიმშვიდეა, თორემ სინამდვილეში კვლავ დაძაბული ვითარებაა, რამდენად სწორია ეს აზრი?**

— მოჩვენებითის რა მოგახსენოთ, მაგრამ სიმშვიდე ნამდვილად არის, მდგომარეობა უწინდელთან შედარებით რამდენადმე სტაბილური ხდება. შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ჩატეხილი საძმო ხიდის აღდგენა ნელ-ნელა, მაგრამ დაიწყო. თუმცა აქვე ისიც მინდა დავსძინო, რომ თვითდამშვიდება ჯერ ძალზედ ნაადრევია, ვინაიდან შიგადაშიგ კვლავ იგრძნობა ნერვიული და დაძაბული ვითარება. სიცხადისათვის განვმარტავ: ეს ნერვიული და დაძაბული ვითარება ისეთი არ არის, რომ მას მწვავე ან უკიდურესად მძიმე ვუწოდოთ.

**— დასამალი არ არის, ივლისის იმ მძიმე დღეებში ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ არა მარტო ქართველი და აფხაზი მოსახლეობა, არამედ შინაგან საქმეთა ორგანოების ქართველი და აფხაზი წარმომადგენლები. ახლა როგორაა საქმე?**

— ქართველი და აფხაზი მოსახლეობის გათიშვის შესახებ დღეს გამოკვეთილად ვლაპარაკობთ, მაგრამ მილიციის ორად გაყოფის მამტკიცებელი არც ოფიციალური და არც არაოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს.

ივლისის იმ ტკივილიანი დღეების შემდეგ, როცა კონკრეტულად მილიციის თანამშრომლების საქმეებს ვიხილავდით, ზოგიერთი მათგანი თავს იმით იმართლებდა, რომ — ჩვენთვის ეს ამბები მოულოდნელი იყო, საამისო პრაქტიკა არ გვქონდა, არ ვიცოდით როგორ გვემოქმედა და ვის მივმხრობოდითო. ეს, რა თქმა უნდა, თავის დასაცავი ლიტონი სიტყვებია. როგორც ზემოთ ვთქვი, აქ ადგილი ჰქონდა არა ლაჩრობას, არამედ ღალატს, რადგან შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკისათვის არსებობს მხოლოდ ერთი მთავარი მისია — ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ხელყოფისაგან დაცვა. ბუნებრივია, თუ ორგანოში მომუშავე კაცი ბუნებით ინტერნაციონალისტი არ არის, იგი თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ყველაფერი ისე როდი მოხდა, როგორც განაწესში იყო ჩადებული. ამ უპასუხისმგებლობასა და გულგრილობაში მე მარტო რიგით შემადგენლობასა და, გნებავთ, ოფიცრობას ვერ დავადანაშაულებ, ვინაიდან თვითონ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობა თავის ნებაზე მიშვებული, ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი შეხვდა. ვიღაცას შეიძლება ტრაფარეტულად მოეჩვენოს ჩემი ნათქვამი, მაგრამ არამც და არამც ინტერნაციონალური აღზრდა მხოლოდ ლოზუნგი და ლამაზი სიტყვა არ უნდა იყოს, არა! იგი საქმეებით უნდა იყოს განმტკიცებული, ადამიანის გულზე უნდა იყოს გატარებული, თორემ ხელოვნურად შექმნილმა ინტერნაციონალობამ ხედავთ სადამდე მიგვიყვანა. იმ მძიმე დღეებში ვგონებ ყველაზე მეტად ამ აღზრდის ნაკლებობამ იჩინა თავი და გამიჯვნა სწორედ ამიტომაც მოხდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, აფხაზ მილიციელს ავტომატით ხელში ქართველი მილიციელისათვის არ დაუშენია, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრ მათგანს დაავიწყდა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა და როცა მილიცია გაიყო ორად, ბუნებრივია, მან თავისი მოვალეობა ვერ შეასრულა. გათიშულმა ვეღარც ქართველი დაიცვა და ვეღარც აფხაზი.

**— მდგომარეობის განმუხტვას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მოსახლეობიდან იარაღის მთლიანად ამოღება. ამ პრობლემის გადასაჭრელად რა ღონისძიებების განხორციელება მიგაჩნიათ აუცილებლად, ვისი აქტიური ჩარევა და თანადგომა გჭირდებათ?**

— მარტო ჩვენი ძალებით არც უნდა მოხდეს და ვერც მოხდება მოსახლეობიდან იარაღის მთლიანი ამოღება. ამას წინათ ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში მე აღვნიშნე, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები აქტივთან ერთად ყველა ღონეს ხმარობენ დატაცებული იარაღის ამოსაღებად-თქო, რედაქციამ თავის მხრივ ჩემს ფრაზას პერიფრაზირება გაუკეთა და დაასკვნა — სამართალდამცავი ორგანოები იარაღის ამოღებაზე სათანადოდ არ ზრუნავენო. სწორად გამიგეთ, მე ჩვენს მუნდირს კი არ ვიცავ, მაგრამ უნდა იცოდეს ყველამ, რომ მოსახლეობაში დარჩენილი იარაღი თვითონ მათ თუ არ ჩაგვაბარეს, ჩვენ ვერაფერს გავხდებით. ხალხში დარჩენილი იარაღის ამოღება ყველაზე უწინ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აპარატის აქტიურობით უნდა მოხდეს, ეს მათი უშუალო მოვალეობაა.

იმ დღეებში სულ წაღებული იყო 4.480 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, აქედან 444 ერთეული — საბრძოლო იარაღი, საიდანაც 415 ერთეული უკვე ამოღებულია, დარჩენილია — 29 ერთეული. მათ შორის 2 ტყვიამფრქვევი, 16 ერთეული სასწავლო ავტომატი, 9 პისტოლეტი, 5 შაშხანა, 2688 სანადირო თოფი, კარაბინი 3 ერთეულით მეტია ამოღებული, ვიდრე წაღებული იყო, ფეთქებადი ნივთიერებიდან ამოსაღები დარჩა 900 კილოგრამი, მაგრამ ფაქტიურად იგი დახარჯულია და ბუნებრივია, მისი ამოღება აღარ შეიძლება.

**— ამბობენ, მოსახლეობა იმიტომ არ აბარებს იარაღს, რომ თავდასხმის ეშინიათ. არის თუ არა იმის გარანტია, რომ მოსახლეობას ეს შიში არ ჰქონდეს?**

— სწორი ბრძანდებით. შიშის-სინდრომმა შვა აგრესიის სინდრომი. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ხაინდრავას ერთ-ერთი ნოველა — შიშზე. კერძოდ, მატარებლიდან ტრამალებს თვალცრემლიანი მისჩერებია სამხედრო ფორმაში გამოწყობილი პოლკოვნიკი. თანამგზავრის შეკითხვაზე თუ რატომ არის ნაღვლიანი, იგი პასუხობს: ამ რამდენიმე წლის წინათ ამ ტრამალებში ჩამოვრჩი ჩემი დაზვერვის ბატალიონს. მარტო დარჩენილი ფორთხვით მივიკვლევ გზას, თავი უკვე სამშვიდობოს რომ მგონია, ვდგები და გერმანელის თვალებს ვაწყდები. ჩვენ ორივენი ვასწრებთ გასროლას, მაგრამ თვალებით ვთანხმდებით, რომ ჩვენს სიკვდილს აზრი არა აქვს და ჩვენ ჩვენ გზაზე მივდივართ!

მე მოულოდნელად მერევა შიშის სინდრომი, ზურგს უკან მესმის რაღაც გაურკვეველი ჩხაკუნი და სანამ აზრზე მოვდივარ, ტყვიის რიგს ვაძლევ ზურგში გერმანელს. ის კი გაოცებულ-გაოცებული თვალებით იმის შეკითხვასღა ასწრებს. რატომ? რისთვის? და მოკვეთილი ეცემა თოვლზე... მას შემდეგ არ მავიწყდება მისი თვალები...

შიშმა, მხოლოდ შიშმა უბიძგა იმ პოლკოვნიკს გადაედგა ეს შემზარავი ნაბიჯი. ასეა აქაც. სიტყვიერად თითქოს ვთანხმდებით კიდეც, საუკუნეებში გამობრძმედილ ძმობასაც ვიფიცებით, მაგრამ 15-16 ივლისის ტრაგედიამ იმდენი უნდობლობა და შიში ჩაუნერგა ხალხს, რომ ძნელია ამ სინდრომის მოშლა.

არადა რამდენადაც შემცირდება შიშის სინდრომი, იმდენად მინელდება აგრესიაც.

ჩვენდა საბედნიეროდ, სასიკეთო ძვრები უკვე იგრძნობა. ეს უპირველესად იქიდანაც ჩანს, რომ სოხუმის ქუჩებში ისევ გამოჩნდნენ გადამკვდარი ძმადნაფიცები (ძმაკაცები), გასვენებებში უკვე მიდიან ერთმანეთთან, ამას წინათ ტყვარჩელში ქორწილში (პატარძალი ქართველი იყო) თამადად ქართველი დანიშნეს, რომელმაც პირველი სადღეგრძელო ქართულ-მეგრულ-აფხაზურად წარმოსთქვა, გულრიფშში პირიქით, პატარძალი აფხაზი იყო, სიძე ქართველი და ა. შ. ნელნელა მაგრამ იღება ვიღაც უკუღმართთა ხელით ცხვირწინ მიხურული სამეზობლო კარები. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ნაბიჯები გულით ნაკარნახევი ნაბიჯებია, მამა-პაპიდან ძვალ-რბილში გამჯდარი და მრავალ ჭირგამოვლილი. ისიც მწამს და მჯერა, რომ ისევე როგორც აფხაზებს არც ქართველებს არ გვყავს ერთმანეთზე უფრო ახლობელი, უფრო გულშემატკივარი სხვა რომელიმე ერი. სწორედ ამიტომ გვმართებს სიფხიზლე და სიდინჯე, სწორედ ამიტომაც არ უნდა წამოვეგოთ მესამის —პროვოკატორის ანკესზე.

**— აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რაიონულ განყოფილებებში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოხდა. იგრძნობა თუ არა ამ ცვლილებების კეთილი ნაყოფი. იქნებ დაგვისახელოთ კონკრეტული მაგალითები?**

— ბოლო ათწლეულში შეუწყნარებელ ლიბერალიზმს იჩენდნენ კადრების შერჩევის საკითხში. ამა თუ იმ ვაკანტურ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ არა პროფესიული დონითა და გამოცდილებით გამორჩეულნი, არამედ აფხაზი ნაციონალობის მქონენი. ეს უზნეო ბავშვის მოფერებას ჰგავდა და... შედეგიც სახეზე გვაქვს.

იმ მძიმე დღეებში აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობამ რვავე მილიციის უფროსი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, რაც, ბუნებრივია, არასწორი იყო. აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ საგანგებოდ იმსჯელა ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებსა და იმ ხარვეზებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული ორგანოს მუშაობაში და ტყვარჩელის, ოჩამჩირის, გულრიფშისა და ქალაქ სოხუმის მილიციის უფროსები გაათავისუფლა თანამდებობიდან, კოლეგიამ დიფერენცირებული მიდგომა გამოიჩინა დანარჩენი ოთხი რაიონის მილიციის უფროსებისადმი (შემოიფარგლა საყვედურებით) და დატოვა ისინი თანამდებობაზე.

ამ დღეებში ვიმსჯელეთ შინაგან საქმეთა გუდაუთის რაიონული განყოფილების მუშაობის შესახებ. სამინისტროს კოლეგიამ გუდაუთის რაიმილიციის უფროსს სამსახურეობრივი შეუფერებლობა გამოუცხადა (ეს საბოლოო სასჯელია, მის შემდეგ მხოლოდ გათავისუფლებაა) და თუ 10 იანვრამდე რაიონში მოხდება რადიკალური ძვრები, გაიხსნება ყველა გაუხსნელი საქმე, ბუნებრივია, არაფერი გვექნება მასთან საწინააღმდეგო, მაგრამ წინასწარვე გეტყვით, ხუთი თვეა მათ ხელშესახები არაფერი გაუკეთებიათ და ერთ თვეში ვერაფრით ვერ შეძლებენ იქ დაგროვებული პრობლემების გადაჭრას.

სამინისტროს კოლეგიამ ასევე საგანგებოდ იმსჯელა ტყვარჩელის რაიმილიციის მუშაობის შესახებ. ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკთა სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობისა და მუშაობაში არსებული სერიოზული ხარვეზების გამო მილიციიდან დავითხოვეთ 6 თანამშრომელი.

ზემოთ ვახსენე, რომ მსჯელობისა და საყვედურის გარეშე არც ერთი რაიონის მილიციის უფროსი და სამსახური არ დარჩენილა. მეტნაკლებად ზოგიერთებმა მართლაც კარგად გაართვეს თავი მუშაობას.

მაგალითისათვის მოვიყვან გალის რაიონული განყოფილების მუშაობას. აქ არც ერთი საქმე არ დარჩენილა გაუხსნელი, გატაცებული იარაღის 99 პროცენტი ამოღებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით გუდაუთის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაზე. თუმცა აქვე ისიც მინდა დავსძინო, რომ გუდაუთის პირობებში მილიციას ხელფეხი შეკრული აქვს. იქ საზოგადოებრივი აზრი მყარადაა ჩამოყალიბებული. ვერ ვიტყვი, რომ ეს აზრი პოზიტიურია. კერძოდ, ისინი თვლიან, რომ 15-16 ივლისის ტრაგედიის მთავარი გამომწვევნი ქართველები არიან და თუკი ეს ასეა, გამოდის გმირებად უნდა ვაღიაროთ ისინი, ვინც იმ დღეებში პიკეტებში იდგნენ და თავს იცავდნენ ვისგან ან რისგან ჩემთვის პირადად დღემდე გაუგებარია.

ბუნებრივია, იქ რიგით მილიციელს არ ძალუძს დაუძახოს, დაკითხოს ან სხვა ღონისძიებები გაატაროს ნებისმიერი მოქალაქის მიმართ და თუ რომელიმე მათგანი ამას შესძლებს მას მოღალატედ გამოაცხადებენ. და „ადგილის დედიდან" მოკვეთენ.

ჩვენი მუშაობის (სადღეისო) მიზანია დავძლიოთ ეს ხელოვნური ბარიერები და ხალხს გავაგებინოთ ვინ ვინ არის. თუმცა დღესდღეობით ავტონომიურ რესპუბლიკაში მე არ მეგულება არც ერთი თანამდებობის პირი, გნებავთ პრესაც და ტელევიზიაც ამ ხნის განმავლობაში ხალხისთვის რომ ეთქვას ნაღდი სიმართლე რა მოხდა 15-16 ივლისს, ვინ არის დამნაშავე? ვინ არის დაზარალებული, ვინ აგრესორი და სხვა.

**— როგორ თქვას პრესამ სიმართლე თუ პრესაც არ არის ბოლომდე ინფორმირებული? თქვენი აზრით, მაინც რა მოხდა 15-16 ივლისს?**

— მაინც რა მოხდა? ამის შეფასების მცდელობები იყო, მაგრამ იყო მხოლოდ არაფორმალებისა და სახალხო ფრონტელების მხრიდან. კერძოდ, „აიდგილარა" (სახალხო ფრონტი) თავისი კუთხით აფასებს ამ ტრაგედიას და ყველაფერში ქართველებს ადანაშაულებს, ჩვენი რესპუბლიკური გაერთიანებები ყველაფერში პირიქით აფხაზებს ადანაშაულებენ, ე. ი. არის ორი უკიდურესი აზრი, ორი სიმართლე. თუმცა ორივე მხარემ კარგად იცის, რომ სიმართლე არსებობს მხოლოდ ერთი.

ჩემი აზრით ამ მოვლენებს აუცილებლად უნდა მისცემოდა პოლიტიკური შეფასება და ეს შეფასება უნდა მიეცა პარტიულ, საბჭოთა სამეურნეო, უკიდურეს შემთხვევაში კომპეტენტურ წარმომადგენლობით კომისიას. სამწუხაროდ, ეს ასე როდი მოხდა. პირადად მე თანამონაწილე ვარ ამ მოვლენების იურიდიული შეფასების, მაგრამ სად არის პოლიტიკური შეფასება? თუ ყოველივე ზემოთქმული დროულად არ მოხდა და თუ კიდევ დიდხანს იარსებებს ორი უკიდურესი სიმართლე, ისევ და ისევ გვექნება კონფრონტაცია, რომელიც გართულებების მეტს არაფერ სიკეთეს არ მოგვიტანს არც ქართველებს და არც აფხაზებს.

**— ისეთი დრო დადგა, ადამიანები ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებენ. კერძოდ, აფხაზი მოსახლეობის წარმომადგენლები არ არიან დარწმუნებულნი საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებისა და პროკურატურის წარმომადგენლების ობიექტურობაში, ქართველებს პირიქით მიაჩნიათ. ერთობ გაჭიანურდა ივლისის ტრაგიკული მოვლენების ორგანიზატორების გამოვლინება და დასჯა. თქვენ რას იტყოდით ამ ორმხრივი დაეჭვების შესახებ?**

— თავიდანვე გამოძიებასა და ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებებს ერთობლივად ატარებდნენ თითქმის ყველა დანაყოფისა და ორგანოების წარმომადგენლები. მხედველობაში მყავს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურისა და საკავშირო სამინისტროსა და საკავშირო პროკურატურის პასუხისმგებელი მუშაკები. აფხაზები თავიდანვე მოითხოვდნენ გამოძიება ჩაეტარებინა მხოლოდ და მხოლოდ საკავშირო სამინისტროსა და საკავშირო პროკურატურას. ამ მოტივირებას ისინი იმით ამართლებდნენ, რომ შეუძლებელია ორ მოჩხუბარს შორის ერთი იყოს გამომძიებელი და მოსამართლე, ე. ი. აქედან დასკვნა ერთია — ყოველი საქმის გარჩევისას უნდა ვეძებოთ მესამე პირი (?!).

დღეს ამ საქმეების გამოძიებით დასაქმებულია 95 გამომძიებელი, აქედან 46 — ქართველი, 14 — აფხაზი, დანარჩენი კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან (მათ შორის საკავშირო სამინისტროს წარმომადგენლები. როგორც უკვე აღვნიშნე აფხაზი მოსახლეობა კატეგორიულად ითხოვდა ყველა ზემდგომ ინსტანციაში საქართველოსათვის აეცლინათ ეს საქმეები, მაგრამ ზევიდან გარკვევით ითქვა — არავითარი მესამე პირი, საქართველო თავად გადაწყვეტს რესპუბლიკის შიგა საჭირბოროტო საკითხებს. ამრიგად ეს საჩოთირო საკითხი უკვე მოხსნილია დღის წესრიგიდან. საკავშირო პროკურატურას წარმოებაში აქვს მხოლოდ და მხოლოდ ორი საქმე, ერთი — ნოვიკოვისა და აკოფოვის მკვლელობის, მეორე — ოჩამჩირის რაიონში იარაღის გაცემა-დატაცების, რომელიც დაკავშირებულია რაიონის ყოფილ პროკურორთან და რაიონის მილიციის სხვადასხვა სამსახურების ყოფილ თანამშრომლებთან. დანარჩენი ყველა საქმე, ეს კი არის 118 სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შეიცავს 209 დანაშაულებრივ ეპიზოდს იძიებს ზემოხსენებული საგამომძიებლო ბრიგადა.

რეალურად 34 საქმე დამთავრებულია. 34-ვე წარიმართა სასამართლოში. 12 საქმე უკვე განხილულია, დანარჩენი განხილვის სტადიაში. ეს ის საქმეებია, რომლებიც თავისი დანაშაულებრივი ქმედებით მარტივი იყო. პატიმრობაში აყვანილია 67 პირი (ეს პატარა ციფრი როდია). ამ მიმართებით მუშაობა გრძელდება, წინასწარი გამოძიების შედეგებით მათი რიცხვი უახლოეს ხანში 17-ით გაიზრდება. პატიმრობაში აიყვანეს ის პირები, რომლებიც იმ დღეებში პიკეტებში იდგნენ და სრულიად უდანაშაულო ხალხს აყენებდნენ სხეულის განზრახ მძიმე ხასიათის დაზიანებებს, არბევდნენ და სხვა. ჩვენდა სამარცხვინოდ, მათ შორის არიან მილიციის თანამშრომლებიც.

დამთავრდა აგრეთვე პირველი აპრილის საქმე (ლესელიძესთან მომხდარი). სასამართლო პროცესიც დაიწყო, მაგრამ შეწყდა ერთ-ერთი ბრალდებულის ავადმყოფობის გამო. ეს საქმეც უშუალოდ საკავშირო პროკურატურას მიჰყავდა. გამოკვეთილია ოთხი დამნაშავის ბრალდება, გარდა ამისა გამოძიების დამთავრების წინ გამოტანილი იქნა დადგენილება მასალების გამოყოფის შესახებ იმ დაუდგენელი მილიციის თანამშრომლების მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით დანაშაულებრივ ქმედებაში.

ამ და სხვა საქმეების გამო ხშირად გვესმის ჩვენი სამსახურის მისამართით გამოთქმული საყვედურები, მაგრამ აქვე დავსძენ, ჩვენ ამ საქმეებთან შეხების წერტილი არ გვქონდა, პროცესუალურად ჩვენ მათში ჩარევის უფლება არ გვქონდა.

**— ოსეთში მიმდინარე მოვლენებს რაიმე ექოსებმა ხომ არ მოჰყოლია აფხაზეთში, თუ მოჰყვა რაში გამოიხატებოდა იგი? ხომ არ აგორდა სეპარატიზმის ახალი ტალღა, რომელიც ვფიქრობთ, დამღუპველია თვით აფხაზებისათვის, ოსებისათვის, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, ნამდვილი სუვერენიტეტი და ეროვნული აღორძინება მხოლოდ ერთმანეთთან თანადგომითა და საერთო მიზნისაკენ სწრაფვით მიიღწევა.**

— სიმართლე გითხრათ, ოსეთში მიმდინარე მოვლენებს აფხაზეთში ტოტალური რეზონანსი არ მოჰყოლია, ვერც იმას ვიტყვი, რომ ამ ამბებმა სრულიად უკვალოდ ჩაიარა.

**— და მაინც, კაცი იმედით ცოცხლობს, თქვენ კი ბრძანეთ ჩვენი საუბრის დასაწყისში რომ მდგომარეობა სტაბილურია, მაგრამ არ დაგვიკონკრეტებიათ რა მიგაჩნიათ აუცილებლად იმისათვის, რომ ეს გამოკვეთილ ტენდენციებად იქცეს, რასაც საბოლოო ანგარიშში ორი ძმისა და მეგობრის შერიგება უნდა მოჰყვეს?**

— დიახ, მდგომარეობის სტაბილიზაციის სიმპტომებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, ისიც ვთქვით, რომ სასიკეთო ძვრები იგრძნობა, მაგრამ ახლა მინდა გითხრათ, რომ ამ სიმპტომების, გამოკვეთილ ტენდენციად გადაქცევისათვის უცილობლად საჭირო და აუცილებელია ჩვენს დამოკიდებულებაში იგრძნობოდეს მხოლოდდამხოლოდ სითბო, ურთიერთგაგება, მიმტევებლობა. ჩემის აზრით, ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის ვალია მომრიგებლის როლში მოგვევლინოს და გვიხსნას მომავალი განსაცდელისაგან, თუ ის მოსალოდნელია.

ვგონებ დროა გვეყოს გამბედაობა, მოყვარეს პირში ვუძრახოთ, გავიგოთ და საკადრისი პასუხი გავცეთ იმ მესამეს, რომელმაც შესძლო ჩვენს ურთიერთობაში მსუსხავი სიცივე ჩამომდგარიყო. მოვეშვათ ერთმანეთის ქილიკს, შევეცადოთ სითბოთი გავალღოთ ის ყინული, რომელიც დღესდღეობით ფეხს გვისხლტს სწორი გზიდან.

ესაუბრა **ნანა ლომაია.**

---

**გადმობეჭდილია „სოფლის ცხოვრების" 23 დეკემბრის ნომრიდან.**

## მომსახურების მაღალი კულტურით

**საქართველოს** შინაგან საქმეთა სამინისტროს სასადილოს მენიუთი და მომსახურებით ყველა კმაყოფილია. ირგვლივ გამეფებული სისუფთავე და სიმყუდროვე განსაკუთრებულად სასიამოვნო გარემოს ქმნის. შესვენებისას მილიციის მუშაკები აქ ნამდვილად ისვენებენ, და მზარეულების მიერ მაღალი პროფესიული ოსტატობით გამზადებულ კერძებსაც მიირთმევენ. ხუთი წელია აქ შეფ-მზარეულად მუშაობს რაჟდენ თაგვაძე, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნეა ემსახურება ამ საქმეს. მის გვერდით მუშაობს ახალგაზრდა მზარეული გურამ პაპიაშვილი, რომელიც კეთილსინდისიერად და მომსახურების მაღალი კულტურით ასრულებს თავის მოვალეობას.

ბ. მგალობლიშვილის ფოტო.



## „მებრძოლი გუშაგის" მკითხველებს

**დასასრულს** მოუახლოვდა 1989 წელი. საქართველოს მრავალჭირნახულ ისტორიაში იგი შევიდა როგორც კიდევ ერთი დრამატიზმით აღსავსე წელი, ჩვენი გაზეთის რედაქცია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო პრესის ორგანოებს შორის, რომელიც მკითხველს შეძლებისდაგვარად სრულ და ობიექტურ მასალებს აწვდიდა ჩვენში მომხდარ მოვლენებზე. პირუთვნელად აფასებდა შინაგან საქმეთა ორგანოების მოქმედების შუქ-ჩრდილებს.

რედაქციის თანამშრომლები ვგრძნობთ რომ ჩვენს პუბლიკაციებში ყოველთვის არ იყო მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი, ზოგიერთი წერილი საკმაოდ უინტერესოდ იკითხებოდა, ვერ შევძელით შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობაში არსებული ზოგიერთი პრობლემის წარმოჩენა. ამიტომ ვთხოვთ ჩვენს მკითხველებს გაგვიზიარონ თავისი მოსაზრებები, კრიტიკული შენიშვნები, მოგვწერონ როგორ ესახებათ მომავალ 1990 წელს „მებრძოლი გუშაგის" პუბლიკაციათა ძირითადი მიმართულებანი.

## О ВОИНСКОМ ЗВАНИИ ГЕНЕРАЛИССИМУС

**ГЕНЕРАЛИССИМУС** — высшее воинское звание в вооруженных силах некоторых государств.

В России звание генералиссимуса было узаконено Петром I (Устав воинский 1716 г.). Да этого первым русским генералиссимусом стал в 1696 году соратник Петра I боярин Алексей Семенович Шеин, командовавший войсками во 2-м Азовском походе (1696 г.). За победу под Полтавой А. Д. Меньшиков был произведен в фельдмаршалы, а 12 мая 1727 года император Петр II (внук Петра Великого) вручил ему патент на чин генералиссимуса.

Звание генералиссимуса в России пожаловано в 1740 году отцу нецарствующего императора (младенца Иоанна VI) принцу Антону-Ульриху Брауншвейгскому, который не имел никаких военных заслуг.

Возводя фельдмаршала А. В. Суворова в 1799 году в ранг генералиссимуса, император Павел I в письме из Гатчины, 25 октября, писал ему: «Ныне награждаю Вас по мере признательности моей... уверен, что возвожу на оный знаменитейшего полководца сего и других веков».

Звание генералиссимуса присваивалось царствующей особой или высшими органами власти — парламентом, сенатом и т. д. Генералиссимусами становились пожизненно или на период войны.

XVI век: Анри Анжуйский (Франция), Жуан Австрийский (Испания), Генрих Гиз (Франция).

XVII век: А. Валленштейн (Священная Римская империя), А. Ришелье (Франция), И. Тилли и Фердинанд-Эрнест (Священная Римская империя), Виктор-Амедей I, Кариньян и Л. Конде-Великий (Франция), Карл-Густав (Швеция), Ф. Морозини (Венеция), Р. Монтекукколи (Австрия), Филипп Орлеанский (Франция), Яков Йоркский (Англия), Карл Лотарингский (Австрия), Ф. Шомберг (Англия), Макс - Эммануил Баварский (Австрия), А. С. Шеин (Россия), Евгений Савойский (Австрия).

XVIII век: Виктор Амедей II, Луи Бургундский, Роллан (Франция), Д. Мальборо, Ч. Петерборо (Англия), Фридрих Гессенский (Швеция), А. Д. Меньшиков (Россия), К.-Л. Виллар (Франция), Антон Брауншвейгский (Россия), Л. Ришелье (Франция), Л. Даун и Г. Лаудон (Австрия), Ж. Лафонэс (Португалия), П. Паоли (Корсика), Жак Кателино (Франция), А. В. Суворов (Россия).

XIX век: М. Годой (Испания), Карл Австрийский (Австрия), М. Идальго и И. Альенде (Мексика), Ф. Миранда (Венесуэла), Х. Морелос (Мексика), К. Шварценберг (Австрия), А. Веллингтон (Нидерланды), У. Бересфорд (Португалия), А. Итурбиде (Мексика), Х. Сан - Мартин (Перу), Ф. Мина (Испания), В. Вреде (Бавария), Луи Ангулемский (Франция), Р. Чорч (Греция), Ж. Аллар (Пенджаб), А. Санта - Ана (Мексика), Шамиль, Измаил-паша, Омер-паша, Абдул-Керим, Мехмет-Али, Сулейман-паша (Турция), Д. Фонсека (Бразилия), Ф. Робертс (Англия).

XX век: Шефкет-паша (Турция), Ж. Жоффр (Франция), Юань Ши-кай и Сунь Ятсен (Китай), Ф. Фош (Франция), Тан Цзи-яо, Чан Кайши и Чжан Цзо-линь (Китай), Р. Трухильо (Доминиканская Республика), Ф. Франко (Испания), И. В. Сталин (СССР).

СПОРТ

## ПОЛКУ МАСТЕРОВ ПРИБЫЛО

**НА ДНЯХ в Днепропетровске завершился чемпионат МВД СССР по самозащите без оружия. В соревнованиях принимали участие сборные команды МВД союзных республик, ГУВД Москвы и Ленинграда, а также учебные заведения МВД СССР — победители зональных соревнований. В общекомандном первенстве победителями стали спортсмены сборной команды МВД Литовской ССР, на втором месте спортсмены Украины, на третьем — сборная Российской федерации. Успешно завершила чемпионат сборная команда МВД Грузинской ССР, которая заняла общее 4 место, опередив сильные команды Москвы, Ленинграда и Белоруссии.**

**В личных соревнованиях отличился рядовой внутренней службы пожарный ОПО УВД Тбилгорисполкома Гия Нацвлишвили, который, выступая в весовой категории до 68 кг, одержал шесть побед в предварительных состязаниях. В финальной схватке он встретился с победителем прошлогоднего чемпионата МВД СССР мастером спорта И. Трофимовым (РСФСР) и здесь добился чистой победы, завоевав тем самым звание чемпиона МВД СССР 1989 года. Другой грузинский спортсмен, слушатель Тбилисского факультета Московской высшей школы милиции МВД СССР, Манучар Маргиани, выступая в весовой категории до 100 кг, стал обладателем серебряной награды.**

**Кроме названных призеров еще два представителя сборной команды МВД ГССР, слушатели ТФМВШМ МВД СССР — Михаил Вешапури и Алекси Хубашвили выполнили нормативы мастера спорта СССР.**

## Турнир в Целинограде

**ИНТЕРЕСНО прошли в Целинограде соревнования по самозащите без оружия и дзюдо среди сотрудников органов внутренних дел на транспорте, в которых принимали участие 22 команды. В зачет шли очки, набранные в обеих видах программы.**

**В целом успешно выступила на соревнованиях сборная Грузинского УВДТ, занявшая общекомандное 4-е место, хотя, по словам представителя команды лейтенанта милиции А. Хачидзе, только необъективное судейство помешало занять призовое место.**

**Неплохо выступили наши спортсмены и в личном зачете. Так, победителем в весовой категории до 95 кг стал Д. Давиташвили, в соревнованиях по дзюдо второе место в весе до 60 кг занял К. Эдишерашвили, в весовых категориях до 86 и свыше 95 кг третьими призерами стали соответственно Г. Дзагошвили и А. Хачидзе.**

Материалы подготовил
А. МАЛАЦИДЗЕ.

**მეორე** დღის დილის ცხრა საათზე მაიორი ხომერიკი უკვე ხარკოვში იმყოფებოდა. ხარკოვის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლების მეშვეობით ზუსტად დაადგინა ასლან ჯინჭარაძის ბინა და ათი წუთის შემდეგ შევჩენკოს ქუჩის № 10 სახლს მიადგა. სახლი სამსართულიანი იყო, რომელსაც ერთი სადარბაზო გააჩნდა. მობინადრეთა დაფაზე ამოიკითხა მე-16 ბინა, რომელიც მეორე სართულზე მდებარეობდა და ელექტრო ზარის ღილაკს საჩვენებელი თითი დააჭირა. კარი შავგვრემანმა და გრუზათმიანმა ახალგაზრდამ გაუღო. ოთარი მიხვდა, რომ ეს ასლანი იყო და კითხვა შეაგება: — შეიძლება?

— მობრძანდით, მობრძანდით, — მიუგო ახალგაზრდამ და სკამი შესთავაზა, — დაბრძანდით ბატონო.

— გმადლობთ, თქვენ ასლან ჯინჭარაძე ბრძანდებით არა?

— დიახ.

ივანეს ასული და პირველი კლასის რესტორანში შევედით. [illegible] მაგიდას შემოვუსხედით დაბალი სკამებით. დარბაზის სიღრმეში სხვა მაგიდებთანაც ისხდნენ ახალგაზრდები და პურმარილობდნენ. მომტანი, რომ მოვიდა დიდიკომ უთხრა:

— აბა ხომ იცი, სუფრას ჩიტის რძეც კი არ უნდა აკლდეს იცოდე. ნუ გეშინია ნაწყენს არ დაგტოვებთ — რასაც დამიკვეთავთ ყველაფერს მოგართმევთო უპასუხა მომტანმა.

აი რა, გააგრძელა დიდიკომ: — ჯერ მოგვიტანე რვა ბოთლი შამპანური, ორი ბოთლი კონიაკი და სახელდახელო საჭმელი. სამზარეულოში შეკვეთა მიეცი, რომ ოთხი კარგი მწვადი, ოთხი წიწილი და ოთხი ხაჭაპური დაგვიმზადონ. ცივი საჭმელებიდან: ხიზილალა, ზუთხი და ცოცხალი მოგვიტანე. მიმტანმა ყველაფერი თავის უბის წიგნაკში ჩაიწერა. ახლავე ყველაფერს მოგართ-

გ. თოფურია

## განსხვავებული ცრემლები

ოთარმა ერთი თვალის გადავლებით შეათვალიერა იქაურობა. ეს იყო სადად მოწყობილი პატარა ოთახი, სადაც რამდენიმე სკამი, საწერი მაგიდა და წიგნების ორგანყოფილებიანი კარადა იდგა. კარადაზე სამედიცინო წიგნები მოწესრიგებულად ეწყო. მაგიდაზე კი გაშლილი ერთი წიგნი, საერთო რვეული და საწერი ავტოკალამი ელაგა. ახალგაზრდა დაძაბული ყურადღებით ათვალიერებდა მოსულს, აშკარად ემჩნეოდა, რომ ძალიან უნდოდა რაც შეიძლებოდა ჩქარა გაეგო მოსვლელის ვინაობა. ეს იგრძნო ოთარმა, თავისი პირადობის მოწმობა გაუწოდა და თან დინჯად და გასაგებად დააყოლა:

— მე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი გამომძიებელი, მაიორი ოთარ ხომერიკი გახლავართ.

— გისმენთ ამხანაგო მაიორო, რით შემიძლია გემსახუროთ?

— მინდა რამოდენიმე კითხვა მოგცეთ, შეიძლება არა?

— რა თქმა უნდა — მკვირცხლად მიუგო ასლანმა. მაიორს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ახალგაზრდის გამჭრიახობა. მისი დიდი წყლიანი თვალები, დინჯი და აუჩქარებელი საუბარი, რაც მის სიცოცხლისუნარიანობასა და კეთილ ბუნებას ადასტურებდა.

— უპირველესად, მომიყევით ყოველივე ის, რაც კი იცით დიდიკო დიხამინჯიას მკვლელობის შესახებ. ყველაფერი დინჯად და აუჩქარებლად მომიყევით. ყურადღება მიაქციეთ, რომ მხედველობიდან არ გამოგრჩეთ თვით უმნიშვნელო წვრილმანიც კი, გამოძიებისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— გასაგებია ამხანაგო მაიორო, ჯარისკაცურად მიმართა ასლანმა და განაგრძო — ეს ამბავი ასე დაიწყო: იმ დღეს დიდიკო დიხამინჯიამ ათასი მანეთი ფულის ამანათი მიიღო თავისი მამისაგან. მაშინ დიდიკო, გურამი და მე ერთად ვცხოვრობდით მშვიდობის ქუჩის № 19 სახლში. ქირით ვიდექით. დიდიკომ გამოგვიცხადა: — ბიჭებო, დღეს ჩემი დაბადების დღეა და რესტორანში გეპატიჟებით. წავედით: დიდიკო, გურამი და მე. გზად სვეტლანა ივანეს ასულ სკვორცოვას შევუარეთ. ეს უკანასკნელი დიდიკოს სიმპატია გახლდათ. წამოვიყვანეთ სვეტლანა

მევთ ბატონებო — მოგვმართა და სამზარეულოში გაქანდა.

— კი მაგრამ ამდენი სასმელი და საჭმელი რა ამბავია, ვინ უნდა ჭამოს და დალიოს? — გულწრფელად იკითხა სვეტლანა ივანეს ასულმა.

— როგორ თუ რა ამბავია სვეტლანა — ივანეს ასულო, შენ ალბათ გავიწყდება, რომ დღეს ჩემი დაბადების დღეა, — შეახსენა დიდიკომ.

— ეს კი მართლა დამავიწყდა, ნება შენია დიდიკო დავითის ძევ — მიუგო სვეტლანამ თვინიერად.

— მომტანმა ხუთ წუთში მოიტანა ყველაფერი და მაგიდა გააწყო.

— ამხანაგებო თუ ნებას მომცემთ, მე ვიტყვი პირველ სადღეგრძელოს, — დაიწყო დიდიკომ.

— ბრძანეთ ბატონო, — მიუგო სვეტლანა ივანეს ასულმა.

— ამხანაგებო, საქართველოში ყველა სუფრას თავისი წინამძღოლი ჰყავს, ეს წინამძღოლი არის სუფრის თამადა, ძვირფასო სვეტლანა ივანეს ასულო, ამიტომ წინადადება შემომაქვს თამადად დღეს ასლან ჯინჭარაძე ავირჩიოთ.

— არა, მე წინააღმდეგი ვარ, ვიუარე მე.

— სამაგიეროდ სამი კაცი თანახმაა.... მოგეხსენებათ ყოველ საკითხს უმრავლესობა სწყვეტს. ამიტომ კეთილი ინებეთ და დაკვითამადეთ. ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, — ერთხმად წამოიძახეს სამივემ და ჩემი სადღეგრძელო შესვეს.

— მაშინ, ნება მიბოძეთ ჩემი პირადი სადღეგძელო ბოლოსთვის შემოვინახო დავიწყე მე. ამხანაგებო, პირველი სადღეგრძელოთი მინდა შემოგთავაზოთ იმ ადამიანის სადღეგრძელო, რომელიც გახლავთ დღევანდელი ჩვენი თავშეყრისა და ზეიმის მიზეზი. ჩვენს მეგობარს დიდიკო დავითის — ძე დიხამინჯიას გაუმარჯოს! უსურვოთ ინსტიტუტის წარმატებით დამთავრება და ყოველივე საუკეთესო, როგორც საზოგადოებრივ საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში, — ენად გავიკრიფე ახლად გამომცხვარი თამადა. — ამხანაგებო, გთხოვთ ერთხმად დავლიოთ ეს სადღეგრძელო, — ვთქვი მე და გადავკარით თითო ჭიქა კონიაკი.

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 47-51.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ОБЪЯВЛЕНИЕ

В ЦЕНТРЕ рукопашного боя и самозащиты без оружия Грузсовета «Динамо» (стадион «Динамо») созданы секции по рукопашному бою и самозащите без оружия для сотрудников органов и подразделений МВД ГССР. Секции функционируют ежедневно с 8.00 часов до 22.00 часов. Обучение ведут квалифицированные инструктора по рукопашному бою, самозащите без оружия и каратэ.

Желающим обращаться в Грузсовет «Динамо» с 10.00 часов до 18.00 часов, тел: 35-15-01.

ОТДЕЛ ФИЗПОДГОТОВКИ И ОРГМАССОВОЙ РАБОТЫ ГРУЗСОВЕТА «ДИНАМО».

ინდექსი 68689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშ რაულის 29.

უე 14360